ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

დადგენილება:**დ-67. 67243626**

თარიღი:**27/12/2024**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №15

,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N 72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N 72 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, 04.09.2018წ. სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.124.016348) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1) პირველი მუხლი (უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 1. უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა
საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ასანაზღაურებელი ყოველთვიური თანხა განისაზღვროს 900.00(ცხრაასი) ლარის ოდენობით“.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი